ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა საშუალო რგოლის ადმინისტრაციული კადრების მიმართულებით

სარჩევი

შესავალი ----- ----- ---------- გვ.3

კვლევის მიზნები ---------- გვ. 3

კვლევის შედეგები---------- გვ. 3-8

ძირითადი მიგნებები---------- გვ. -9

დანართი ---------- გვ.10

ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა საშუალო რგოლის ადმინისტრაციული კადრების მიმართულებით

შესავალი

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს და ვუზრუნველყოთ მათი საჭირო კვალიფიციური კადრებით გაძლიერება. პერიოდულად ვატარებთ ადგილობრივი შრომის ბაზრის სექტორულ მოკვლევას . გამომდინარე იქედან, რომ გაჩნდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - ადმინისტრაციული სერვისები. გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია ადგილობრივ ორგანიზაციებს, რამდენათ აქვთ საჭიროება ადმინისტრაციული სერვისების კვალიფიკაციის მქონე კადრების.

კვლევის მიზნები

რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე შემუშავდა კითხვარი (იხილეთ კითხვარის ლინკი https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdEFzjRht31UOGACbjZtgm5Xo_c4LpTZG-CwstTLXupcsZ-bQ/viewform?usp=sf_link), განისაზღვრა გამოსაკითხ ორგანიზაციათა სია, თუმცა შერჩეული ორგანიზაციებიდან, ყველას არ მიუღია კვლევაში მონაწილეობა.

კვლევას ჰქონდა ორი მთავარი მიზანი:

1. ორგანიზაციებს აქვთ თუ არა ახალი კადრების საჭიროება საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე (მოცემული მომენტისთვის)
2. ორგანიზაციების სამომავლო ხედვა საშუალო რგოლის ადმინისტრაციული კადრების საჭიროებასთან დაკავშირებით .

ამასთან ერთად, კითხვარში შეტანილი იყო ისეთი კითხვები, რომ დაგვედგინა:

- პოზიციების დასახელება,რომლებზეც დასაქმებული არიან საშუალო რგოლის ადმინისტრაციული კადრები
- როგორია ანაზღაურება საშუალო ადმინისტრაციულ პოზიციებზე, როგორია
- უკვე დასაქმებულ კადრებს რამდენად სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.

კვლევის შედეგები

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 26-მა ორგანიზაციამ (იხ. დანართი N1) . გამოკითხული ორგანიზაციებიდან 25 იყო სახელმწიფო და 1 კერძო. ჯამში გამოკითხულ ორგანიზაციებში ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შეადგენს 468 ადამიანს .



კვლევის შევსებაზე პასუხისმგებლები იყვნენ ძირითად შემთხვევაში ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან ხელმძღვანელების მოადგილეები.

ორგანიზაციებს საშუალო რგოლის ადმინისტრაციული პოზიციებზე ჰყავთ შემდეგი დასახელების კადრები:

საქმისწარმოებელი (ყველა გამოკითხულ ორგანიზაციას)

შესყიდვების სპეციალისტი (12 ორგანიზაციას)

ხელმძღვანელის თანაშემწე (7 ორგანიზაცია)

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი (9 ორგანიზაცია)

არქივის წარმოების სპეციალისტი (9 ორგანიზაცია)

ლოჯისტიკის სპეციალისტი (7 ორგანიზაცია)



შენიშვნა: *აღსანიშნავია,რომ მუნიციპალიტეტებიის მერიებს საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებული ყავთ ადამიანები სხვადასხვა რანგის სპეციალისტების პოზიციებზე,აქედან ნაწილი გადის საშუალო ადმინისტრაციული რგოლის პოზიციებზე .*

გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობა ფიქრობს,რომ მათ დაწესებულებაში დასაქმებულ საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ კადრებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება. ასევე უმრავლესობის აზრით, საშუალო ადმინისტრაციულ პოზიციებზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები უნდა საქმდებოდნენ.





ანაზღაურება საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებული კადრებისთვის განსხვავებულია:



ანაზღაურება 1000 ლარზე ზემოთ ძირითადად არის მუნიციპალიტეტების მერიებში.

კვლევის თანახმად, ორგანიზაციები მათთვის საჭირო კადრის მოსაძიებლად ძირითადად, იყენებენ დასაქმების საიტებსა და პირად კონტაქტებს.



მოცემული მომენტისთვის ორგანიზაციების ნაწილს აქვს ახალი კადრების საჭიროება საშუალო რგოლის ადმინისტრაციული კადრების პოზიციებზე, კერძოდ:

საქმისწარმოებლის, შესყიდვების სპეციალისტის, ხელმძღვანელის თანაშემწის, არქივის წარმოების სპეციალისტის, ადამიანური რესურსების მართვის, ლოჯისტიკის სპეციალისტის.

გარდა ამისა, ორგანიზაციებმა დასაასახელეს სხვა კადრების საჭიროებაც, რომელიც არ არის კავშირში ადმინისტრაციულ პოციზიციებთან



საინტერესოა ორგანიზაციების სამომავლო ხედვა -საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ კადრებთან დაკავშირებით.



34 % -ს უჭირს ზუსტად თქმა სამომავლოდ ახალი (იგულისხმება დამატებითი კადრების გაჩენა) კადრები დასჭირდებათ თუ არა. 23% -ს მიაჩნია რომ არ დასჭირდება.

ორგანიზაციების 42.3 %-მა დაასახელეს პოზიციები, რომელთა საჭიროებასაც ვარაუდობენ ერთ ან ორ წელიწადში. კერძოდ:

- ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი
- ხელმძღვანელის თანაშემწე
- საქმისმწარმოებელი
- ლოჯისტიკის სპეციალისტი
- შესყიდვების სპეციალისტი
- არქივის წარმოების სპეციალისტი



ძირითადი მიგნებები

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები:

- მოცემული მომენტისთვის ორგანიზაციების ნაწილს საშუალო რგოლის ადმინისტრაციული რგოლის პოციზიებზე აქვთ კვალიფიციური კადრების საჭიროება;
- ორგანიზაციების ნაწილს სამომავლოდ დასჭირდება ახალი კადრები საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე ან/და გაჩნდება ასეთი პოზიციები;
- ანაზღაურება საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულებისთვის განსხვავებულია და დამოკიდებულია ორგანიზაციაზე;
- ორგანიზაციის უმრავლესობა ფიქრობს,რომ სჭირდებათ კვალიფიციური კადრები, ამასთანავე საშუალო ადმინისტრაციული რგოლის პოზიციებზე დასაქმებულ კადრებს სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება;

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ კოლეჯისთვის მიზანშეწონილია განახორციელოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეფექტურად უპასუხებს ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნებს.

ასეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამად გამოიკვეთა ,,ადმინისტრაციული სერვისები'', რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში კვალიფიციური კადრების გაჩენას და ორგანიზაციების გაძლიერებას.

დანართი N1

ორგანიცაზიების დასახელება რომელთაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
2. ონის მუნიციპალიტეტის მერია
3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
4. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
5. სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''
6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
7. ამბროლაურის სასპორტო სკოლა
8. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი
9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ცენტრი
10. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტო
11. სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა
12. ა (ა) ი. პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება
13. სსიპ ქ. ამბროლაურის N2 საჯარო სკოლა
14. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
15. ა (ა)ი. პ. ამბროლაურის საცურაო აუზი
16. ,,შპს როიალ ხვანჭკარა''
17. ამბროლაურის სამხატვრო სკოლა
18. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი
19. სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავის საჯარო სკოლა
20. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლა
21. სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვანჭკარის საჯარო სკოლა
22. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი
23. რეგიონალური სოციალური მომსახურების სააგენტო
24. სურსათის ეროვნული სააგენტო
25. სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლა
26. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ურავის საჯარო სკოლა